დანართი

დამტკიცებულია

თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

2014 წლის 23 დეკემბრის №23/10 დადგენილებით

„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსში“ დამატებების შეტანის თაობაზე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 1 მარტის №23/1 დადგენილებით დამტკიცებულ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსში“ შეტანილ იქნეს დამატებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. მე-4 მუხლის 4.5.12 ქვეპუნქტს დაემატოს 4.5.12[1] ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.5.12[1] მართვის ორგანოს წევრი და მართვის ორგანოს სხდომაზე დამსწრე პირი უნდა იყოს კლასიკურად ჩაცმული (კლასიკური პიჯაკი, კოსტუმი, ჰალსტუხი, პერანგი, ქვედაბოლო, შარვალი და სხვა). სხდომების დროს მობილური ტელეფონი უნდა იყოს გამორთული. დაუშვებელია სხდომის დროს დარბაზიდან გასვლა ან საუბარი, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა“.

2. მე-4 მუხლის 4.3.6 ქვეპუნქტს დაემატოს 4.3.6[1] ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.3.6[1] აკადემიურმა პერსონალმა საზოგადოების წინაშე მედია საშუალებებით წარდგომისას საკუთარი პერსონის წარდგენა მოითხოვოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დაკავებული აკადემიური თანამდებობის მითითებით“.